პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

29.09.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ანასტასია ქიტიაშვილი – სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
ირაკლი შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
მიხეილ ჭელიძე – ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი;
ელენე ალადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი;
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი;
თამარ ტაბიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტი
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
მაია ჯაში - დირექტორი
ნინო ზარდიაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
არჩილ უნდილაშვილი - დირექტორთა საბჭოს წევრი
ვლადიმერ ლომსაძე - იურისტი

შპს არსის წარმომადგენელი:
ნათია ნოზაძე - დირექტორი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის წარმომადგენლები:
ნესტანი აბსავა - დირექტორი
ფატი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის " წარმომადგენლები:
რაინდი ლომაია - დირექტორი
ტარიელ ლომაია - დირექტორის თამაშემწე

შპს „სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის" წარმომადგენლები:
ვახტანგ ჭანია - დირექტორის მოადგილე პროგრამული უზრუნველყოფის დარგში
ლია ელიავა - საქმის წარმოების და პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი
ირაკლი ჭანია - მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ს წარმომადგენელი:
მანანა მახარაშვილი - ხარისხის მენეჯერი

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს წარმომადგენელი:
ნანული ზარიძე - დირექტორი

სხვა დამსწრე პირები:
მარინა გოგოლაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის "ავტორიზაციის საკითხის განხილვა
5. შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy -აში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
7. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა, შესაბამისად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ ვალიშვილმა და ვარლამ ავალიშვილმა.

ექსპერტთა განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაც სურს - პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამა. დასკვნაში ექსპერტებს წარმოდგენილი აქვთ პროგრამის მოცულობა 179 კრედიტი, რომელიც მოიცავს ქართული ენის მოდულებს: ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საავტორიზაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში მითითებულია, რომ არაქართულენოვანთათვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 149 კრედიტით.

კოლეჯს მოთხოვნილი ჰქონდა სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა 90-ით. თუმცა ექსპერტების მტკიცებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთდროულად 60 სტუდენტის მიღება.

კოლეჯის წარმომადგენლის, არჩილ უნდილაშვილის განმარტებით ისინი სრულიად იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებას სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესახებ. თუმცა მათ სურთ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ეს მოსაზრება გაამყარეს არგუმენტებით, საბჭოს მოახსენეს, რომ B სასწავლო გარემო, რომლის არასაკმარისობის გამო ექსპერტები ამტკიცებენ რომ მხოლოდ 60 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი, გათავისუფლდება 9 კვირაში. რის შემდეგაც კოლეჯს შეუძლია ამ გარემოს გამოყენება სხვა სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოსა და ექსპერტებს წარუდგინეს სასწავლო გეგმა, სადაც მკაფიოდ ჩანდა B სასწავლო გარემოს ოპტიმიზირებული გამოყენება და შესაბამისად სტუდენტთა მეტი რაოდენობის მიღების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ კოლეჯის სასერთიფიკატო პროგრამებით დაინტერესებულია არაქართულენოვანი სტუდენტები და ვარაუდობენ, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში ეს დაინტერესება გავრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც. ამ სტუდენტებს კი სასწავლო გეგმის მიხედვით პირველი წლის განმავლობაში უწევთ ქართული ენის მოდულების გავლა, რაც შესაძლებელია პროგრამისათვის მოთხოვნილი B სასწავლო გარემოს გარეშე. მათ მიერ წარმოდგენილი მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შესაძლებელია ორ ცვლაში ყოველწლიურად 60 სტუდენტის მიღება. პროგრამა სამწლიანი ხანგრძლივობისაა და შესაბამისად, ჯამში შესაძლებელია 180 სტუდენტის მიღება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება ქ. თბილისში მის: ქეთევან წამებულის გამზ. №65

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405144785) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	149	179	ქართული	180	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №65

2. შპს არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - იანინა გიგიბერიამ, მარინე გვრიტიშვილმა და მზია ბაკურიძემ.

დაწესებულებას სურს მოიპოვოს ხელახალი ავტორიზაცია და განახორციელოს 5 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური;
ბანკის მოლარე-ოპერატორი - მესამე საფეხური;
ფარმაცევტის თანაშემწე - მეოთხე საფეხური;
სადაზღვევო აგენტი - მეოთხე საფეხური;
პრაქტიკოსი ექთანი - მეხუთე საფეხური.
რადგან კოლეჯი ხელახალ ავტორიზაციას ითხოვს, ექსპერტები ვიზიტის მსვლელობისას დაინტერესდნენ მიმდინარე პერიოდამდე ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხით.

კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა 2 არასრულწლოვან პირთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება. ასევე, ერთი ხელშეკრულება სტუდენტთან ვადაგასული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ქრონოლოგიურად გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა უნდა დამტკიცებულიყო უფრო ადრე, ვიდრე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რაც დარღვეული იყო. შესაბამისად, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, რომ სტრატეგიულ გეგმაში შევიდეს ცვლილება ინვენტარის განახლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გასაახლებელია მაგიდები და სკამები. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით აქამდე ფინანსური საშუალება არ ჰქონდათ და ამ ეტაპზე შესაძლებელია და იგეგმება ინვენტარის განახლება.

ინტერნეტ პროვაიდერთან დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო ჩანაწერი ვადის შესახებ. თუმცა, ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ინტერნეტ კომპანია ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის ხელშეკრულებებს დებს.
პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ ,,სადაზღვევო აგენტის'' პროფესიული პროგრამის მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი არის განათლებით ეკონომისტი. მისი პირადი საქმიდან და მასთან გასაუბრებით ვერ გამოვლინდა, რომ მას აქვს პროგრამის მოდულების განსახორციელებლად შესაბამისი კვალიფიკაცია. შესაბამისად 3.2. ქვესტანდარტი დარღვეულია. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის წარმომადგენლებმა მათ განუმარტეს, რომ ,,სსა GPI ჰოლდინგის'' თანამშრომელთან აქვთ

შეთანხმება, მუდმივი კონსულტაციების გაწევის თაობაზე და შესაძლოა დაითანხმონ, როგორც მოდულის განმახორციელებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოაცხადებენ კონკურსს.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს პროფესიული მასწავლებელი ,,სადაზღვევო აგენტის'' მხოლოდ 4 მოდულის განმახორციელებელია, საიდანაც 2 მოდული არჩევითი მოდულია და პროგრამიდან მათი ამოღება შესაძლებელია. პროგრამის განხორციელება დაიწყება ოქტომბრის თვეში და ,,სსა GPI ჰოლდინგის'' თანამშრომელი ამ პერიოდამდე გააცნობს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სურთ ჯამში 140 სტუდენტის მიღება, მათ შორის პროგრამების მიხედვით:

პრაქტიკოსი ექთანი - 42 პროფესიული სტუდენტი

ფარმაცევტის თანაშემწე- 30 პროფესიული სტუდენტი

ბანკის მოლარე- ოპერატორი - 30 პროფესიული სტუდენტი

სადაზღვევო აგენტი - 28 პროფესიული სტუდენტი

ექთნის თანაშემწე - 10 პროფესიული სტუდენტი

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება ქ. რუსთავში, მის: ჟ. შარტავას ქ. №4.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1 (თამარ ტაბიძე)

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს არსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

მოდულური პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	179		ქართული	42	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	137		ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
3	ბანკის მოლარე-ოპერატორი	მესამე	ბანკის მოლარე ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	98		ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
4	სადაზღვევო აგენტი	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	124		ქართული	28	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
5	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	102		ქართული	10	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნატო გაბოშვილმა, ქეთევან გარსევანიშვილმა და მარიამ ფიცხელაურმა.

ექსპერტებმა მოახსენეს საბჭოს, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიას სურს ავტორიზაციის მიღება და 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება. მათ შორის ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის მოდულური პროგრამა და 4 საგნობრივი პროგრამა: ბუღალტერი; ექთნის თანაშემწე; მასაჟისტი და ფარმაცევტის თანაშემწე.

პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზები არ გამოვლენილა. ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაციები ვიზიტის პერიოდშივე იქნა გათვალისწინებული.
ექსპერტების მოსაზრებით არცერთი ქვესტანდარტი და შესაბამისად არცერთი სტანდარტი დარღვეული არაა.
ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები დაიხვეწოს და უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ასევე, უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება მოდულური პროგრამის დანერგვის და შეფასების მიმართულებით.
ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები და გამოვლინდა მათი სრული მზაობა სტუდენტთა მისაღებად.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რატომ არ სურს დაწესებულებას საგნობრივი პროგრამების შესაბამისი მოდულური პროგრამები განახორციელოს და 2019 წლამდე რამდენად შესაძლებელია წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამების დასრულება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიულ გეგმაში ფიქსირდება, რომ მოდულურ პროგრამებზე გადასვლა იგეგმება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ამ მიმართულებით მუშაობენ და 2019 წლამდე ამ საგნობრივი პროგრამების შესაბამისი მოდულური პროგრამების დამატება იგეგმება. აქვე აღნიშნა, რომ ამ გარემოებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ექთნის თანაშემწის (90 კრედიტი) და ფარმაცევტის თანაშემწის (120 კრედიტი) საგნობრივი პროგრამების განხორციელებას გეგმავს, თუმცა 2019 წელს, როცა საგნობრივი პროგრამები აღარ იქნება, ამ პროგრამებზე არსებულ სტუდენტებს გადაიყვანს მოდულურ პროგრამებზე (რომელთა დამატებას 2019 წლამდე გეგმავს).

საბჭოს წევრების აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საგნობრივი პროგრამებიდან მოდულურ პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის საკითხი, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოდულური პროგრამების დამატება ჯერ მხოლოდ დაგეგმვის პროცესშია.

კოლეჯის დირექტორმა ნესტან აბსავამ შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე, საგნობრივ პროგრამებთან აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხანგრძლივვადიანი საგნობრივი პროგრამების, ექთნის თანაშემწისა და ფარმაცევტის თანაშემწის, განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. საბჭომ გაითვალისწინა აღნიშნული შუამდგომლობა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სურთ ჯამში 150 სტუდენტის მიღება.

პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა:

ბუღალტერი - 30 პროფესიული სტუდენტი

მასაჟისტი - 30 პროფესიული სტუდენტი

ოფისის მენეჯერი - 20 პროფესიული სტუდენტი

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება ქ. ზუგდიდში მის: შ. კიტიას ქ. №9

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 420002026) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

საგნობრივი პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	30	ქართული	30	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქ. №9
2	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	30	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქ. №9

მოდულური პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	146		ქართული	20	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქ. №9

4. **შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნათია გიორგობიანმა, ია გელენიძემ და მარიამ მიქაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია გიორგობიანმა აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონს'' ავტორიზაციის ვადა გაუვიდა მიმდინარე წლის 12 ივლისს. კოლეჯს სურს ავტორიზაციის მიღება. საავტორიზაციო განაცხადში კოლეჯმა გამოთქვა სურვილი სასწავლო პროცესის განხორციელების უფლება მოიპოვოს ორ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6 და ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2. შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა ორივე მისამართზე. ექსპერტებმა შენიშნეს, რომ კოლეჯის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული მიმდინარე ყველა პროცესში და ვიზიტი წარიმართა შეფერხებების გარეშე.

კოლეჯს სურს განახორციელოს 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 8 საგნობრივი და 4 მოდულური. კოლეჯი გემავს ქ. თბილისში განახორციელოს 9 პროგრამა, აქედან 5 საგნობრივი და 4 მოდულური, ხოლო ქ. ქუთაისში - 11 პროგრამა, მათ შორის 8 საგნობრივი და 3 მოდულური.

პროგრამულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონიათ.

ექსპერტებმა აღნიშნეს გარემოება: საავტორიზაციოდ წარმოდგენილი მოდულური პროგრამების შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებში, წარმოების დაწყების შემდგომ, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ამოღებულ იქნა მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, ან პროფესიული ტესტირების გარეშე ჩარიცხული იმ პირებისათვის რომლებიც არ ფლობენ ქართული ენის კომპეტენციას. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ექსპერტთა მიერ კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ აღნიშნულ ცვლილებებთან.

მატერიალური და ადამიანური რესურსი შემოწმდა ორივე მისამართის მიხედვით და ექსპერტები თვლიან, რომ შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რადგან 12 ივლისიდან კოლეჯი არაავტორიზებულია, რა ღონისძიებებს მიმართეს სტუდენტებთან დაკავშირებით, შეუჩერეს მათ სტატუსი თუ მობილობის წესით სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს.
კოლეჯის დირექტორმა, რაინდი ლომაიამ განმარტა, რომ სტუდენტებს ამ ეტაპზე სტატუსი შეჩერებული აქვთ. ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში მათ სტატუსს აღუდგენენ და სტუდენტები სწავლას გააგრძელებენ შესაბამის პროგრამაზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება, თითოეული პროგრამის განხორციელება რომელ მისამართებზე იგეგმება და რამდენი სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი პროგრამების მიხედვით.
რაინდი ლომაიამ განმარტა, რომ ორი ცვლის გათვალისწინებით, ორივე მისამართზე ერთად სურს 638 პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა.
ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია მოთხოვნილი რაოდენობის ერთდროულად შემდეგი რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღება
საგნობრივი პროგრამების მიხედვით:
ოფისის მენეჯერი - 24 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 30 სტუდენტი ქ. თბილისში
მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მეოთხე საფეხური - 28 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 32 სტუდენტი ქ. თბილისში
ინფორმაციული ტექნოლოგიები - 32 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 32 სტუდენტი ქ. თბილისში
ექთნის თანაშემწე - 18 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 18 სტუდენტი ქ. თბილისში
პრაქტიკოსი ექთანი - 32 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 14 სტუდენტი ქ. თბილისში
მასაჟისტი - 16 სტუდენტი ქ. ქუთაისში
მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მეხუთე საფეხური)- 12 სტუდენტი ქ. ქუთაისში
ფარმაცევტის თანაშემწე- 20 სტუდენტი ქ. ქუთაისში;

მოდულური პროგრამების მიხედვით:
პრაქტიკოსი ექთანი - 52 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 46 სტუდენტი ქ. თბილისში
ბანკის მოლარე-ოპერატორი - 80 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 62 სტუდენტი ქ. თბილისში
ფარმაცევტის თანაშემწე - 28 სტუდენტი ქ. ქუთაისში; 30 სტუდენტი ქ. თბილისში
ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 32 სტუდენტი ქ. თბილისში

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონის'' ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 638-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 638-ით.

დანართი

საგნობრივი პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	30	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						24	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
2	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	32	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						28	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
3	ინფორმაციული ტექნოლოგიები	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	32	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
4	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის	90	ქართული	18	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6

			პროფესიული კვალიფიკაცია			18	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
5	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150	ქართული	14	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
6	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	16	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
7	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120	ქართული	12	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
8	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120	ქართული	20	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

მოდულური პროგრამები :

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	179		ქართული	46	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
							52	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

2	ბანკის მოლარე-ოპერატორი	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	99	ქართული	62	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						80	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
3	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	140	ქართული	30	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6
						28	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
4	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	163	ქართული	32	ქ. თბილისი, ბარბაქაძის ქ. №6

5. შპს „სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა - ვახტანგ ბოგველიშვილმა და იაზონ დანელიამ.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას სურს ავტორიზაციის მოპოვება. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ბუღალტრის და სადაზღვევო აგენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და 7 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ბუღალტერი; ტუროპერატორი; ინფორმაციული ტექნოლოგი; ფარმაცევტის თანაშემწე; ექთნის თანაშემწე; საბაჟო წარმომადგენელი და ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი).

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პირველი და მესამე სტანდარტი დარღვეულია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

- პროფესიული პროგრამის „ექთნის თანაშემწე“ III საფეხური სასწავლო კურსის „პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია - თურმანაულის „სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრეპარატების გამოყენების სახელმძღვანელო“. ეს სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელ და საკმარის თეორიულ მასალას, შეძენილი ცოდნის საფუძველზე კი სტუდენტი ვერ შეძლებს ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის ამოცნობას და შესაბამისი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას გადაუდებელ მდგომარეობათა შემთხვევაში.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ექთნის თანაშემწე“ III საფეხური სწავლის შედეგების თანახმად კურსდამთავრებულს შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება, თუმცა პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსი მინიმალური კრედიტის მოცულობითაც.
- პროფესიულ პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე“ V საფეხური აღწერილობით ნაწილში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში მითითებულია როლური და სიტუაციური თამაშები, თუმცა აღნიშნული მეთოდი არ არის გამოყენებული პროგრამის არც ერთი სასწავლო კურსის განხორციელების პროცესში, კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლის მხოლოდ შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

- იმავე პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია " სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული მუშაობა, მაშინ როდესაც სწავლის შედეგების თანახმად სტუდენტმა იცის ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება და ა.შ. რაც მიიღწევა ლაბორატორიული მუშაობის მეთოდით. ამასთანავე, არ ხდება გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასება.

- ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში არც ერთი სასწავლო კურსის შინაარსში არ ისწავლება საოფისე პროგრამები, მაშინ როდესაც სტუდენტის შეფასების წესი და პროფესიული სტანდარტი ითხოვს საოფისე პროგრამის, კერძოდ პრეზენტაციის (MS Power point-ის) ცოდნას.

- ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული სტანდარტი შემუშავებულია CISCO-ს ქსელური აკადემიის IT Essentials სასწავლო კურსის საფუძველზე, რომელიც ამზადებს მსმენელებს ორი სტანდარტული სერტიფიცირებისათვის: 1. EUCIP საერთო ევროპული პროფესიული სტანდარტი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (www.eucip.com). 2. CompTIA A+ კომპიუტერული ტექნოლოგიების ინდუსტრიული ასოციაციის სერტიფიკატი (www.comptia.org). რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა ოპერაციული სისტემების (android, ios, mac os x, linux) ზოგად ცოდნასაც, ამიტომ სასურველია სასწავლო კურსის: „ოპერაციული სისტემები" შინაარსში შეტანილ იქნას თემები android, ios, mac os x, linux ოპერაციულ სისტემებზე და განხორციელდეს აღნიშნული ოპერაციული სისტემების სწავლება.
- სტუდენტის შეფასების მეთოდები ხშირ შემთხვევაში უნიფიცირებულია, შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: აქტიურობა, I და II შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა. არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა, მაგ: სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია" შეფასების წესი არ ითვალისწინებს გამომუშავებული პრაქტიკული უნარების (მალამოების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება) შეფასებას.
- „საბაჟო წარმომადგენელის" პროფესიულ პროგრამაში არცერთ კურსს (გარდა საწარმოო პრაქტიკებისა) არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გაუმართლებელია, მაგალითისთვის, სასწავლო კურსის „სასაქონლო დეკლარაციები" წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი კურსები: „საქონლის გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე", „ინტეგრირებული ტარიფები", „საბაჟო გადასახდელები"
ამავე პროგრამის ფარგლებში „საბაჟო წარმომადგენელის" საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება შპს „საბანკო სწავლების ცენტრში", რომელიც წარმოადგენს კომპანიას რომლის საქმიანობის სფეროა ბუღალტერიის შემსწავლელი კურსების და ტრენინგების ჩატარება, რასაც საბაჟო გაფორმების პროცედურებთან საერთო არ აქვს. შესაბამისად, შეუძლებელია სტუდენტს გამოუმუშავდეს „საბაჟო წარმომადგენელის" საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

ამავე პროგრამაში რიგ სასწავლო კურსებში ("დაბეგვრის ადმინისტრირების საფუძვლები", "ინტეგრირებული ტარიფები", "საბაჟო გადასახდელები", "სასაქონლო დეკლარაციები", "საქონლის გადაადგილება საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე") ლიტერატურაში მითითებული ფინანსთა მინისტრის ბრძანებები ძალადაკარგულია (ფინანსთა მინისტრის ბრძანებები N996, N994, N993, N995, N2724) 2012 წლიდან, აუცილებელია მათი განახლება.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტერი“ (III საფეხური) სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ მიზნის თანახმად „სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ძირითადი ცნებები კომპიუტერების შესახებ, მათი აპარატურული და პროგრამული შედგენილობა, კომპიუტერთან დიალოგის საშუალებები (ოპერატიული გარემო Windows XP). რეალურად კი, სასწავლო ლაბორატორიების კომპიუტერებში ჩაწერილია windows 7 ოპერაციული სისტემა. სასურველია სილაბუსის შინაარსი და კომპიუტერული ლაბორატორიების ოპერაციული სისტემები იყოს შესაბამისობაში.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ექთნის თანაშემწე“ III საფეხური ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას შემდეგი მიმართულებებით: საწარმოო პრაქტიკა თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლაში, ნევროლოგიური პაციენტის მოვლაში, ბავშვის მოვლაში და ზოგადად პაციენტის მოვლაში, ამასთანავე ისწავლება სასწავლო კურსები: პაციენტის მოვლა, თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლა, პალიატიური მოვლის საქმე, ნევროლოგიური პაციენტის მოვლა, ორსულის/მშობიარეს მოვლა, ინფექციური დაავადებები, პირველადი სამედიცინო დახმარება.

აღნიშნული კურსების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს თბილისის პედიატრიულ პრივატ კლინიკასთან, (N5, 15.02.2017) 9 თვის ვადით. თუმცა, ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ პრივატ კლინიკა წარმოადგენს პედიატრიული პროფილის დაწესებულებას, ბავშვთა თერაპიული, ქირურგიული და რეანიმაციული განყოფილებებით, მას არ გააჩნია ნევროლოგიური, ინფექციური, სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის, მოზრდილთა თერაპიის, მოზრდილთა ქირურგიული განყოფილებები/დეპარტამენტები. უკანასკნელი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კლინიკის ბაზაზე სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ პროგრამით გათვალისწინებული მხოლოდ ის კლინიკური სასწავლო კურსები და ის საწარმოო პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს მხოლოდ პედიატრიული კონტიგენტის პაციენტის მოვლასა და მასზე ზრუნვას, დანარჩენი კლინიკური სასწავლო კურსების პრაქტიკული მეცადინეობების და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა ამ უკანასკნელი კლინიკის ბაზაზე ვერ განხორციელდება.

საზოგადოებრივ კოლეჯს სასწავლო ფართში არ გააჩნია კლინიკური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მულაჟებით, რომელიც განხილულ იქნებოდა კლინიკური ბაზის ალტერნატივად, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა შესაბამისი კლინიკური უნარების გამომუშავება, რაც გათვალისწინებულია პროგრამის ზემოთაღნიშნული კურსებით.

ექსპერტების მიერ პრაქტიკის დანარჩენი ობიექტების დათვალიერებით დადგინდა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვეულია საწარმოო პრაქტიკების ხელმძღვანელებისა და პრაქტიკის ბაზების კოორდინაცია და ურთიერთთანამშრომლობა, ინტერვიურების დროს ნათელი გახდა, საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლები არ იცნობდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, საწარმოო პრაქტიკის კურსების სილაბუსების ავტორებს და პირიქით. პრაქტიკის ბაზებზე სტუდენტები აწარმოებენ დღიურებს, თუმცა მათი შეფასება არ ხდება.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში– რიგი მოდულები არ არის სრულად ადაპტირებული.

მოდულურ პროგრამაში ბუღალტერი - არჩევითი პროფესიული მოდულის „სამშენებლო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ დამხმარე ჩანაწერებში 3.2 პუნქტი - მოდულის განხორციელების მიდგომები არ არის ადაპტირებული.

მოდულურ პროგრამაში სადაზღვევო აგენტი IV საფეხური -ზოგადი სავალდებულო მოდულის „კომუნიკაცია“ დამხმარე ჩანაწერებში 3.6 პუნქტი - მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები არ არის ადაპტირებული. ზოგადი სავალდებულო მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ დამხმარე ჩანაწერებში 3.6 პუნქტი - მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები არ არის ადაპტირებული. ზოგადი სავალდებულო მოდულის „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ დამხმარე ჩანაწერებში 3.2 პუნქტი - მოდულის განხორციელების მიდგომები არ არის ადაპტირებული (ასევე 3.4 პუნქტი).

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა რიგ შემთხვევებში არ ეთანხმებოდნენ მათ არგუმენტებს. მამია ჯანჯალიამ დასძინა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პოზიციის გაცნობისას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების წარმომადგენელი ეჭვქვეშ აყენებდა ექსპერტთა კომპეტენციას. მამუკა ჯანჯალიამ შენიშნა, რომ ექსპერტთა კომპეტენციაში მას ეჭვი არ ეპარება და იზიარებს მათ მოსაზრებებს, თუნდაც CISCO-ს სერთიფიკატთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

- ბუღალტერის III საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაში ინგლისური ენის სილაბუსის თანახმად კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე. აღნიშნული არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის თანახმად: კურსდამთავრებულს აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.
- „ფარმაცევტის თანაშემწის“ V საფეხურის პროგრამაში სასწავლო კურსის „ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგია“ სილაბუსში, სწავლის შედეგებში მითითებულია ჩანაწერი, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია „უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა“, რაც არ არის გონივრული და არ შეესაბამება აღნიშნული კურსის მიზანს, შინაარსს და რეალურ სწავლის შედეგებს. ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „არგუმენტირებული პოზიციის ამსახველ დოკუმენტში, აღნიშნული ფაქტი ახსნილია, როგორც ტექნიკური ხარვეზი და შესწორებულია.

- პროფესიული პროგრამით „ინფორმაციული ტექნოლოგი“ გათვალისწინებული კურსების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის დათვალიერებისას გამოვლინდა საჭირო ინსტრუმენტების არარსებობა. აღმოჩნდა მხოლოდ Jack Maker და რამდენიმე მეტრი კაბელი. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ინსტრუმენტები და დიაგნოსტიკური ხელსაწყოები, რომლებიც აუცილებელია სწავლებისთვის მას მოაქვს სხვა

საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. აღნიშნული ხელს შეუშლის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამებში ხშირად დასაქმებულია აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, რომელთა პრაქტიკული გამოცდილება სრულად არ პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტების აზრით სასურველია, გაიმიჯნოს თეორიული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობები. პრაქტიკული მეცადინეობების განმახორციელებლებად (საწარმოო პრაქტიკის ჩათვლით) განისაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური ცოდნის მიღება, პრაქტიკული უნარების გამომუშავება და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არ არის შექმნილი ხარისხის სამსახური, შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გაირკვა, არც ერთ თანამშრომელს არ ევალება ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულება.

ვახტანგ ჭანიამ განმარტა, რომ როგორც დირექტორის მოადგილე პროგრამული უზრუნველყოფის დარგში, თვითონაა პასუხისმგებელი ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. თავმჯდომარე დაინტერესდა მის ფუნქცია მოვალეობებში თუ ფიქსირდებოდა მის მიერ ზემოხსენებულის შესახებ. ვახტანგ ჭანიამ დაადასტურა, რომ მას დოკუმენტურად არ აკისრია ზემოხსენებული მოვალეობების შესრულების ვალდებულება.
თავმჯდომარე დაინტერესდა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1 (ირაკლი შურღულაია)
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400034752) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy -აში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მანანა მახარაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ქეთევან ბოტკოველმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა სასწავლო ფართის და ადამიანური რესურსის ცვლილება. სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით კოლეჯმა შეიცვალა სასწავლო ფართი. დაემატა ადამიანურ რესურსს დაემატა სამი პროფესიული მასწავლებელი. დღეისათვის კოლეჯს ჰყავს 15 პროფესიული მასწავლებელი.
კოლეჯი ავტორიზაციის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, რაც ასახულია ექსპერტთა დასკვნაში. კოლეჯის ხარისხის სამსახური მუშაობს სრულყოფილად, რაც დასტურდება სტუდენტთა კითხვარებით, მასწავლებელთა კითხვარებით და ანალიზით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განმეორებითი შეფასების გამოყენების საჭიროება არ დამდგარა გარდა ერთი შემთხვევისა. განმავითარებელი შეფასება ტარდება ხშირად, რაც გამორიცხავს შუალედური თუ დასკვნითი შეფასების განმეორებითი შეფასების საჭიროებას.

ექსპერტმა დაადასტურეს, რომ კოლეჯში სასწავლო პროცესის განსახორციელებლად ხელისშემშლელი გარემოებები არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali academy -ისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali academy -ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404441895) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კახაბერ ერაძემ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს მიენიჭა ავტორიზაცია. ტექნიკური ხარვეზის შედეგად ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ექთნის თანაშემწის საგნობრივ პროგრამაზე მითითებულია 13 პროფესიული სტუდენტის ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 17-სა. რეალურად ამ პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას დაწესებულება აღარ გეგმავს, პროგრამა მილევად რეჟიმშია და 17 პროფესიული სტუდენტი სწავლობს ამ პროგრამაზე. გარდა ამისა ტექნიკური ხარვეზის შედეგად ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამის კვალიფიკაცია განსაზღვრულია მეხუთე საფეხურით, ნაცვლად მეოთხე საფეხურისა.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ამოღებულ იქნა მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით კორექტირებული პროგრამები. შესაბამისად, საჭირო გახდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საგნობრივი პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე (მილევადი)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	17	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
4	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

მოდულური პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	81	96	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	138	168	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	99	129	ქართული	48	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი